

კორნელი კეკელიძის სახელობის სტიპენდია

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აწესებს დიდი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის სახელობის სტიპენდიას მაღალი აკადემიური მოსწრების ჰუმანიტარული მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

სტიპენდია კონკურსის წესით გაიცემა 1 სტუდენტზე, თვეში ერთხელ, 1 სემესტრის განმავლობაში. სტიპენდიის ოდენობა 100 ლარი.

სტიპენდიის მიღების მსურველებმა 28 მაისის 18 საათამდე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში უნდა წარმოადგინონ:

1. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
2. აკადემიური მოსწრების ამსახველი დოკუმენტი (დეკანატის მიერ დამოწმებული);
3. ორი პედაგოგის (ერთი სასურველია – სამეცნიერო ხელმძღვანელის) რეკომენდაცია, მისი საკონტაქტი ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);
4. ინფორმაცია სამეცნიერო აქტივობის შესახებ (პუბლიკაციები; სამეცნიერო კონფერენციებში / სემინარებში, ექსპედიციებში, პროექტებში მონაწილეობა...);
5. ინფორმაცია საკვლევი თემატიკის შესახებ:
 - სადიპლომო თემის რეზიუმე (1 ან 1,5 გვერდის ოდენობით) – მაგისტრანტისათვის;
 - ერთ-ერთი მოხსენება ან სტატია, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს / კვლევის უნარს – ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის;
6. ესეე კორნელი კეკელიძის შესახებ.

გამოფენა-განათლების დეპარტამენტი

exb.edu@manuscript.ac.ge

საკონტაქტო პირები:

ნესტან ბაგაური

ტელ.: 893 25 1 234

E-mail: nestan.bagauri@manuscript.ac.ge

შორენა მურუსიძე

ტელ.: 893 90 13 48

E-mail: sh.murusidze@manuscript.ac.ge

